ცნობის ფურცელი

№ 2423 შაბათი, 28 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2423

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ნიკო ელიავა

გადავიდა: ველიკოკნიაჟესკისა და კიროჩნი ქუჩების კუთხეში სახლი სვანიშვილისა № 39. (3—2)

საფაბრიკოსაწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები **ტელეფონი № 679**. (0—123)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

„ლალატი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. **თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა**, თარგ. კ. მესხის-მიერ.

ვინც 50 ც. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (10—3)

იმპერიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებები შეერთდნენ **ბრძოლის ველზე დაჭრილთათვის და მოკლულ და დაჭრილ მეომართა ოჯახებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად**; ამისათვის გადასწყვიტეს ყველა წოდებათა შორის **ფულითა და სხვა და სხვა ნივთით შემოწირულებათა შეგროვება**. საქმის ორგანიზაცია დაევალა მთავარ კომიტეტს, მოსკოვში, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლის თავ. პ. ნ. ტრუბეცკოის თავმჯდომარეობით და ყველა გუბერნიების თავად-აზნაურთაგან არჩეულ რწმუნებულების მონაწილეობით.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ უკვე გადასდო ამ საქმისათვის განსაზღვრული ფული და ეხლა იმის ზრუნვაშია, დამზადოს სამხედრო საავადმყოფოებისა და ქსენონებისათვის საჭირო საგნები. დასამზადებელ საგნებისათვის საჭირო მასალის შესაძენად შემოწირულებათა შეგროვება დაევალა კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეა გენერალ-მაიორი თავ. ივანე სულხანისძე ჭავჭავაძე, ხოლო წევრებია—თავ. ლ. გ. ჯანდიერი, გენ.-მაიორი ქ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

მანდილოსანთ, რომელთაც ჰსურთ საკუთარის შრომით მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ ნივთების დამზადებაში, ვთხოვთ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა კნ. ქობულაშვილის სახლი) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

შემოწირულებას იღებენ მხოლოდ თავმჯდომარე და წევრები კომიტეტისა.

კომიტეტის თავმჯდომარე **თავ. ი. ს. ჭავჭავაძე** იღებს შემოწირულებასა და ინახულებს ყველა იმათ, ვისაც ამ საქმის გამო მასთან რაიმე მოლაპარაკება უნდა, ყოველდღე საკუთარს ბინაზე დილის 10 საათიდან 12-მდე, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე.

თავ. ლ. გ. ჯანდიერი იღებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე საკუთარ ბინაზე, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე.

გენერალ-მაიორი **ქ. ი. მამაცაშვილი** იღებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე.

ს. განძიელი იღებს ყოველ დღე 10 საათიდან 3-მდე სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი იღებს ყოველდღე დილის 10 საათიდან 3-მდე თავის კანტორაში (ოლგას ქუჩა), ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე. (ნ. 30—2)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ალაგობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

ამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—მადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—5)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. გეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოთ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—28)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ფრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბეჭ ოო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. ოამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

თელავში და ჭიათურაში

გაზ. **„ცნობის ფურცელი“**-ს

№№ იყიდება იმავე დღეს, რა დღესაც ტფილისს გამოდის, თელავში—ბ. ვ. პაატაშვილთან და პავლე კურდღელაშვილის მაღაზიაში (სამოქალაქო ბაღის პირდაპირ); ჭიათურაში—ბ. ერ. დეკანოზიშვილთან.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. გეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—59)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 თებერვალი

პეტერბურგი. მისის უდიდებულესობის ნამესტნიკის დეპეშა, 26 თებერვალს მუკდენიდან გამოგზავნილი: „პორტ-არტურის ციხის კამენდანტმა მაცნობა: 26 თებერვალს, შუაღამის ესე 12 საათზე, შორს ზღვაში ჩვენის პროჟექტორების სინათლეზე გამოჩნდა ნაღმიან გემების მსგავსი გემები, რომელთაც ბატარეიებიდან სროლა დაუწყეს. ნაშუაღამევის 2 საათსა და 40 წუთზე ზღვაში გავიდნენ ჩვენი ნაღმიანი გემები, რომელნიაც დილის 4 საათზე მტერს შეჰხვდნენ ლიაოტეშანის კანდელის დასავლეთით. მტერმა რამდენჯერმე ზარბაზანი გაისროლა და წავიდა სამხრეთისკენ, შანდუნის მხარეს, ჩვენი ნაღმიანი გემები-კი პორტ-არტურს დაბრუნდნენ. დილის 6 საათზე ხელ-ახლა გაიგზავნა ნაღმიანი გემები, რომელნიც ნახევარ საათის შემდეგ დაბრუნდნენ. ამბავი მოვიდა მტრის ესკადრის მოახლოვების შესახებ. დილის $8^1/_2$ საათზე იაპონელთ ყუმბარები დაუშინეს ჩვენ კრეისერებსა და ციხეს. მტრის ესკადრაში 14 გემია. მტერი ზარბაზნებს ლიაოტეშანის მხრიდან ისვრის.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგენტო“). სახელმწიფო დეპარტამენტმა დეპეშა მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ იაპონიის ჯარი ფინხუან-ჩენსა და დაგუშანში მივიდაო.

ტიანძინი („რეიტ. სააგენტო“). იაპონიის ჯარი მდინარე იალუდან დაიძრა და წინ მიდის. ამ ჟამად ნიუჯუანიდან 70 ინგლისის მილის მანძილზე 35,000 რუსის ჯარის-კაცია. ამათ ძლიან გამაგრებული პოზიციები უჭირავთ ლიაოიანსა და ხაი-ძინში, სადაც ბრძოლას მოელიან.

ნაგასაკი („რეიტ. საგ.“). იაპონელების მიერ დაჭერილი სავაჭრო გემების მეზღვაური, 400 კაცი, გაანთავისუფლეს. დაჭერილ გემების 40 აფიცერი ჯერ ისევ სასებოში იმყოფება.

შანჰაიგუანი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). კუროპატკინის მთავარ სარდლად დანიშვნამ მთელს შორეულს-აღმოსავლეთში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ტომსკი. ირკუტსკში მიმავალი საფოსტო მატარებელი სადგურ იურტასთან გზას გადასცდა. ოთხი ვაგონი დაიმსხვრა. მოკვდა ერთი ყაზახი. მძიმედ დაშავდა 7 კაცი, მსუბუქად 5.

ლონდონი „რეიტ. საგტ.“-ს ცნობებით, შეუძლებელია ოფიციალურ ცნობის მიღება შესახებ იაპონიის სესხის პროექტისა. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იაპონია შესძლებს ლონდონში სესხის აღებას.

პორტ-არტური (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ვიცე-ადმირალს მაკაროვს დაუხვდნენ ყველა საზღვაო მოხელენი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, რომელთაც მიართვეს პურ-მარილი და წმინდა ნიკოლოოზის ხატი. ადმირალმა მადლობა გადაუხადა და გადავიდა კრეისერ „ასკოლდ“-ზე, რომელზედაც თავის დროშა ააფრიალებინა.—„კურიერ დე-ტიანძინ“-ი იტყობინება: ღამის იერიშის დროს, როცა პორტ-არტურის შესავალის შეკვრა უნდოდათ, ნაღმიან გემების გარდა დაიღუპა იაპონიის ხუთი სავაჭრო გემიო. „ნოვი კრაი“ ჰბეჭდავს წერილებს კორეის შესახებ, რათა ამით რუსეთის აფიცრებს მომავალ ბრძოლის ველი გააცნოს.

ვლადივოსტოკი. „რეიტერის სააგენტო“-ს ცნობა, ვითომ ჩვენს საკრეისერო ესკადრას იაპონიის ფლოტთან ბრძოლა ჰქონოდეს, ტყუილია.

ლონდონი („რეიტ. საავ“). პორტ-არტურიდან დეპეშით იტყობინებიან, წარსულ ღამეს იაპონიის ფლოტი ნავთ-სადგურთან გამოჩნდა და დილის 8 საათამდე ციხეს ხანგამოშვებით ზარბაზნებს ესროდაო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

27 თებერვალი

ტოკიო. ადმირალი კამიმურა ოფიციალურად ატყობინებს თავის მთავრობას ვლადივოსტოკზე თავდასხმის ამბავს: 22 თებერვალს იაპონიის ესკადრამ ზარბაზნები დაუშინა ვლადივოსტოკს, მაგრამ განზრახვა არ გვქონია ნავთსადგურზე იერიშის მიტანისა. ზარბაზნების სროლა დავიწყეთ ნაშუადღევის 1 საათსა და 50 წუთზე და განვაგრძეთ 40 წუთს. ადმირალის აზრით, ყუმბარებმა ქალაქი დააზიანეს. რუსებს პასუხი არ გაუციათ. სროლის შემდეგ იაპონიის კრეისერებმა მახლობელი ადგილები დაზვერეს, მაგრამ მტერი ვერსად ვერ აღმოაჩინეს.

პეკინი. სიმპატიური და სამართლიანი ფრანგული გაზეთი „ეკო დე-შინ“-ი იაპონელებმა აკრძალეს, რადგან რუსეთს თანაუგრძნობს.

ვერხნეუდინსკი. მოსკოვიდან დაწყებული ყველა ჯარებს, რომელნიც შორეულს აღმოსავლეთს მიდიან, აქვთ საკმაო თბილი ტანისამოსი და მხნედ არიან.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 თებერვალი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიიღო პეტერბურგის პრესსის წარმომადგენელნი—„ნოვოე ვრემიას“ გამომცემელი სუვორინი და „პეტერბურგსკი ვედომოსტების“ რედაქტორი სტოლიპინი. ხელმწიფე-იმპერატორმა მოისმინა უქვეშევრდომილესი ადრესი პეტერბურგის ყოველ-დღიურ გაზეთებისა და შემდეგის მაღალ მოწყალე სიტყვებით გააბედნიერა დამსწრენი: **„ვმადლობ პეტერბურგის გაზეთებს ადრესში გამოთქმულ კარგ გრძნობათათვის. ამ ბოლო დროს თვალ-ყურს ვადევნებ გაზეთებს და დავრწმუნდი, რომ პრესსა ნამდვილი განმმარტებელია თანამედროვე ამბებისა. პრესსის აღფრთოვანებამ და ხალხის სულით განმსჭვალვამ დიდად მასიამოვნა. იმედი მაქვს, რომ შემდეგშიაც რუსეთის პრესსა ღირსი იქნება თავის მოწოდებისა: იგი კარგად გამოსთქვამს დიდებულის ქვეყნის გრძნობებსა და აზრებს; ისარგებლებს თავისს დიდის გავლენით საზოგადოებაზე, რომ შეიტანოს ამ საზოგადოებაში სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!“.**

ვლადივოსტოკი. აქ მცხოვრებმა კორეიელებმა, რომელნიც რუსეთისადმი სიმპატიით არიან გამსჭვალულნი, კომენდანტს უთხრეს, ციხის სამუშაოსათვის თუ მუშა დაგჭირდეთ, მზადა ვართ უფასოდ გემსახუროთო.

პარიზი. უეჭველია, რომ საზღვაო სამინისტროს კანცელარიის გადამწერმა სცადა დოკუმენტები იაპონიის საზღვაო აგენტისათვის გადაეცა, მაგრამ ჰფიქრობენ, ამ სურვილის განხორციელება ვერ მოასწროო.

ვლადივოსტოკი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ნაგასაკიდან შანჰაიში მოსული ევროპიელები დანამდვილებით იტყობინებიან, პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლის დროს იაპონიის ფლოტი ძალიან დაზიანდაო. იაპონიის ყველა დოკები დაზიანებულ გემების შეკეთებაში არიან, იაპონელები ძალიან აღფრთოვანებულნი არიან; ხალხი ყვირილით და მუსიკით ქუჩა-ქუჩა დადის; ხალხში ცრუ ცნობები ბევრია გავრცელებული.

ბერლინი. აქ არა სჯერათ ლონდონის გაზეთების ცნობა, ვითომ იაპონიის ჯარი ფინ-ხუან-ჩენსა და დაგუშანს მისულიყოს.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). კერძო ცნობებით, 22 თებერვლიდან იაპონელები ვლადივოსტოკს სამჯერ დაეცნენ.—სეულიდან ცნობა მოვიდა, აქ კიდევ დაიჭირეს 6 კაცი—დამტარებელი, რომელთაც რუსების მომხრეობა და ინტრიგები ჰბრალდებათ.—რუსეთისა და იაპონიის მოწინავე რაზმებს პიენიანთან შეტაკება მოუხდათ; რუსებმა უკან დაიწიეს; ზარალი არც ერთ მხარეს არ მოსვლია.

ნიუჩუანი („რეიტ. სააგ.“). მოვიდა გარკვეული ცნობა იქ დამსწრეთაგან, რომ 18 თებერვლიდან ფინ-ხუან-ჩენსა და მიდამოებში მშვიდობიანობაა და იაპონელთა მოახლოვების შესახებ არაფერი ისმისო. ცნობა, ვითომ იაპონელები იალუს დასავლეთ ნაპირზე გაჩნდნენო, არა სჯერათ. რუსეთის საომარ ბაზისში—ლიაოანში, სადაც ყველა სადგომი დაჭერილია, რუსეთის ჯარის შეკრებამ ჩინეთის მცხოვრებლებზე ცუდათ იმოქმედა. ყოველ სადგურზე, რომელსაც კი მნიშვნელობა აქვს, კარვებში რუსეთის ჯარი სდგას.

მოსკოვი. ფარმაცევტთა საზოგადოება გენერალ კუროპატკინს მიართმევს ხელოვნურად გაკეთებულს ყუთს, რომელშიაც საჰიგიენო მასალა და საგზაო აფთიაქი იქნება. თავად-აზნაურობა გენერალ კუროპატკინს ხატს მიართმევს, რომელზედაც დახატულია წმინდა გიორგი; ხატი ძვირფასს თვლებით არის მოჭედილი.

(ჩავპრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

27 თებერვალი

ვაშინგტონი. რუზველტმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით მთავრობის ყველა მოხელე მოვალეა მტკიცედ დაიცვას ნეიტრალიტეტი; ამასთან ნათქვამია, საჭიროა თავი შეიმაგრონ ყოველგვარ გაჯავრებულ ქცევისა და ლაპარაკისაგანაო.

პეკინი. გაზეთ „ტიან-ძინ ტაიმს“-ის რედაქტორის განდევნამ იაპონიის მიმხრე ჩინურ გაზეთებში რუსეთისადმი ცილის წამება გამოიწვია; სატოუს გონიერმა ზომამ იმოქმედა; პრესამ კილო ცოტათ შეიცვალა.

ლონდონი. „დეილი გრაფიკ“-ი ამბობს, ინგლისის ხალხის საზოგადოებრივი აზრი რუსეთის წინააღმდეგ არ არის, პირიქით, ხშირად ჰკიცხავენ იმ გაზეთებს, რომელნიც რუსეთის წინააღმდეგ სწერენო.

ჩრდილოეთ კორეიაში იაპონელებმა ჯარის გადასხმა გაათავეს. იაპონელებმა ლაშქრობა დაიწყეს და წინ მიდიან. ომის დაწყებიდან იაპონელებმა ბრძოლის ველზე გამოიყვანეს 200.000 ჯარის კაცი. მეორე კორპუსის ნაწილი ჯერ გზაში იმყოფება და კორეისკენ მოდის. ჰფიქრობენ, ეს ჯარი ფუზანის აღმოსავლეთ ნაპირზე გადავაო. პაჩკიონში მოწინავე რაზმებს შეტაკება ჰქონდათ, ერთი იაპონელი მოჰკლეს; რუსებმა ჩრდილოეთისკენ დაიწიეს. ჩიფუსთან გაიარა იაპონიის ახალმა ტრანსპორტმა და ლიაოდუნის ყურისკენ წავიდა. ეხლა იაპონელები ცდილობენ პორტ-არტურს ალყა შემოარტყან და ამავე დროს მანჯურიაში ორ არმიას ჰგზავნიან.

პარიზი. გაზეთები იტყობინებიან, ხმა დადის, პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკის მახლობლად ბრძოლა მოხდაო; ამბობენ, იაპონელები იალუს მეორე ნაპირზე გავიდნენო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ფრანგული გაზ. „ტან“-ი იუწყება: ლიაონი რუსებმა დიდ სამხედრო ბანაკად გადააქციეს. ხაიჩენშიაც ასეთივე ბანაკი გამართეს. პირველ ბანაკს $6^1/_2$ კვადრატი მილი სივრცე აქვს, მეორეს—$4^1/_2$ კვ. ვერსტი. რამდენიმე ათასი ჩინელი მუშა დღე და ღამ მუშაობს და ამ ბანაკებს ამაგრებს („ნ. ვ.“).

რუსეთის საზღვაო სამინისტროს ბრძანებით ნიკოლაევსკის ქარხანაში ამ ჟამად სამი მსწრაფლ მავალი ნაღმიანი გემი შენდება: „ზვონკი“, „ზადორნი“ და „ზორკი“. ამ გემების აშენებას მალე გაათავებენ („რ. ვ.“).

22 თებერვალს იაპონელებმა პორტ-არტურს ახლოს გემებივით განათებული ტივები გაუშვეს რუსების მოსატყუებლად, მაგრამ რუსებმა მალე გაუგეს ეშმაკობა და ტივებს ზარბაზანი აღარ დაუშინეს.

რუსებმა პორტ-არტურს ახლო 6 აუფეთქებელი უაითხედის ნაღმი იპოვეს („ნ. ვ.“).

„სტანდარდ“-ი იუწყება: იაპონელები ირწმუნებიან, პირველი დიდი ბრძოლა ჩრდილოეთ-კორეიაში კი არა, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე მოხდებაო („პ. გ.“).

იაპონელებმა სატრანსპორტო გემებით ჩრდილოეთ-კორეისაკენაც გაჰგზავნეს ჯარი. ეტყობა, იაპონელები ვლადივოსტოკის ახლოც აპირებენ დიდ სამხედრო მოქმედებას („ნ. ვ.“).

იაპონელებმა ჩემულპოში გადაყვანილი ქვეითა ჯარის რაზმი ზოგი ისევ გემებში ჩასხეს და ზღვით ცინამპოში გაჰგზავნეს.

იაპონელებისაგან დაჭერილი რუსის კერძო სავაჭრო გემი „ეკატერინოსლავი“ 3 მილიონად ყოფილა დაზღვეული, „არგუნი“ 1,500,000 მანეთად.

როგორც ვიცით, იაპონელებმა, სხვათა შორის, რუსის გემები „მიხაილ“-ი და „ნიკოლაი“-ც დაიჭირეს. ეს გემები კაიზერლინგის და ამხ. სააქციონერო საზოგადოებას ეკუთვნოდა. „მიხაილ“-ი დიდი სამ პალუბიანი გემია, 5 ათას ტონა ტვირთი მიაქვს. ამ გემზე მთელი ქარხანა იყო გამართული გველვეშაპის („კიტის“) ქონის გადასადნობად, 40 მეზღვაური მსახურობდა და 60 ქარხნის მუშა. „მიხაილ“-ს იმედი ჰქონდა, რომ წელს 300-400 გველვეშაპს მოჰკლავდა („რ. ვ.“).

ბრიუსელში ამბავი მოვიდა, რომ 21 თებერვლამდე ანტვერპენიდან იაპონიის 8 ცალი გემი წავიდა ქვა-ნახშირით დატვირთული. ეს გემები ნავთ-სადგურებში არსად არ გაჩერდებიან და სულ პირდაპირ ზღვით მოკლე გზით ივლიან. ეს გზა 8 ათას მილით მოკლეა ჩვეულებრივ გზაზე („პ. გ.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, ვითომ მანჯურიის რკინის გზის ტოტი ორის კილომეტრის სიგძეზე დაენგრიოთ ნინგუტის ახლო, ვითომ ნინგუტისა და ვლადივოსტოკს შუა ტელეგრაფის მავთულებიც გაეწყვიტოთ. ნინგუტა გირინისა და ვლადივოსტოკის შუა გზაზე მდებარეობს („რ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ მიასიდან: სამარა-ზლატოუსტის რკინის გზაზე სადგურ ხრებეტთან რელსები ერთმანეთს მოჰშორებოდა; მიმავალი მატარებელი კინაღამ არ დაიღუპა, მაგრამ ორმა გლეხის ბალღმა დროზე შეაჩერეს მატარებელი.

„რუსკი ინვალიდი“ სწერს: ერთი გერმანული გაზეთი ამას წინად იუწყებოდა, ლონდონში რამდენიმე იაპონელი აფიცერი ცხოვრობს და რუსეთის ჯარსა და ფლოტზე ცნობებსა ჰკრებსო. ეხლა, ტელეფონებისა და ტელეგრაფების დროს, დიდი სიფრთხილე გვმართებს, მით უმეტეს, რომ მეტად მოხერხებულ და გამჭრიახ აზიელ ხალხთანა გვაქვს საქმეო.

ჩინელების მოქმედება. ჩინეთის სახელმწიფო საბჭომ სიჩუანის გენერალ-გუბერნატორს დეპეშით შეატყობინა, ინგლისსა და რუსეთს ტიბეტის თაობაზე დავა მოსდით, შეიძლება ამ დავამ ჩინეთზეც გავლენა იქონიოსო, ამიტომ სიჩუანის საზღვრების დაცვას დიდი ყურადღება მიაქციეთო („რ. ვ.“).

იაპონელების ხელმძღვანელობით ჩინეთში ბევრი გაზეთი გამოდის. ეს გაზეთები დიდძალ ცუდ ამბავსა ჰბეჭდვენ რუსებზე: ვითომ რუსის ჯარის-კაცები ჩინელებსა და იაპონელებს სძარცვავდნენ და უღირსად ექცეოდნენ. ვითომ ჩინელი სტუდენტები იაპონიის ჯარში შესვლას აპირებდნენ, დასასრულ,—ვითომ იაპონია მალე მთლად დაამარცხებს რუსებს და მანჯურიიდან განდევნისო. ერთის სიტყვით, იაპონელები მეტად ბეჯითად და მოხერხებულად მოქმედებენ და ჩინელებს რუსეთის წინააღმდეგ აღელვებენ („ნ. ვრემ.“).

ჩინეთის ერი მეტად აღელვებულია. იაპონიურმა აფიშებმა და ადმირალ ტოგოს გამარჯვების ამბებმა თავისი გაიტანეს. ხალხი ყველგან ლაპარაკობს, მალე უცხოელების ბატონობისაგან გავნთავისუფლდებით. „დეილი ქრონიკლ“-ი იუწყება: პეკინში ჩინელები ისეთ გუნებაზე მოვიდნენ, რომ უცხოეთის ელჩები შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს, რა ღონისძიება მივიღოთ ჩინელების დასამშვიდებლადაო. გადასწყვიტეს, ჯერჯერობით საელჩოების დამცველი რაზმები გავაძლიეროთო. პეკინში დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის მთავრობა, გინდ გულწრფელადაც მოინდომოს, აღელვებულ ხალხს ველარ დააყენებს, მეტადრე როცა ბრძოლა ხმელეთზე მანჯურიაში მოხდება. მაგრამ ჩინეთის მთავრობის გულწრფელობა მეტად საეჭვოა. „ტაიმს“-ს კიდევ ატყობინებენ პეკინიდან: ჩინეთის არსენალებსა და ქარხნებში დიდი მუშაობაა. ყველგან დიდ-ძალ საკვებ-სურსათს ამზადებენ, უცხოეთიდანაც დიდძალი სამხედრო იარაღი მოაქვთ. მანჯურიის საზღვრისაკენ ყოველ დღე ჯარებსა ჰგზავნიან. უცხოელები ჰფიქრობენ, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ჩინეთის მოქმედებას და ერთმანეთის თანხმობით დროზე შესაფერისი ღონისძიება მიიღონო („ბ. ვ.“).

დეპეშამაც გვაცნობა და ეხლა გერმანული გაზ. „ნოიე ფრაიე პრესე“-ც იუწყება: ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ლანსდოუნი ჩინეთის ელჩს ესტუმრა ლონდონში და ურჩია, ჩინეთის მთავრობა გააფრთხილე ნეიტრალიტეტი არ დაარღვიოსო. ჩინეთის ელჩი დაჰპირდა, მაგის თაობაზე ეხლავე დეპეშას გავგზავნი პეკინშიო. ამას გარდა ლანსდოუნმა ინსტრუქცია გაუგზავნა ინგლისის ელჩს პეკინში, ჩინეთის მთავრობა დაარიგე, ნეიტრალიტეტი არაფრით არ დაარღვიოსო. შეერთებულ შტატების მთავრობამაც გააფრთხილა და დაარიგა ჩინეთის მთავრობა („რ. ვ.“).

ინგლისი და საფრანგეთი. გავლენიანი ინგლისური ჟურნალი „ნაციონალ რევიუ“ სწერს: ინგლისისა და საფრანგეთის ერი ერთნაირად სწადიანთ ნეიტრალიტეტის დაცვა. საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობანი ბეჯითად ცდილობენ, რომ რუსეთისა და იაპონიის გარდა ეხლანდელ ომში არც ერთმა სხვა სახელმწიფომ მონაწილეობა არ მიიღოს. ორმავე სახელმწიფომ დღე და ღამ უნდა იმოქმედონ და ყოველი ღონე იღონონ, რომ ეხლანდელი ომი საერთაშორისო საყოველთაო ომად არ გადაიქცეს („პ. გ.“).

ინგლისი და იაპონია. „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ი იუწყება: 20 თებერვალს ინგლისის ელჩი მონსონი პარიზში იაპონიის ელჩს მოტონოს ესტუმრა და სრული ორი საათი ეთათბირა („პ. გ.“).

ფელეტონი

წერილები უცხოეთიდან

(დასასრული *)

გავცილდით ამ თითქო ლამაზსა და ამავე დროს სამწუხარო ფიქრების აღმძვრელ ადგილს. როგორც მოგახსენეთ, კლუბზე მოშორებით სულ უფრო და უფრო ნაკლებ მოსეირნეებს ვხედავდით. მალე სრულიად განსხვავებული და საყურადღებო სურათი დავინახეთ, რომელმაც შემახალისა, დაღვრემილობიდან გამომიყვანა, ჩემს ფიქრებს ახალი შნო და ელფერი შესძინა. ერთ ადგილას ქვა-ფენილს ქვემოთ გამოყვანილი გვირაბი დავინახეთ, რომლიდან გამოჩხრიალებდა პატარა მდინარე და ერთვოდა ზღვის ტალღებს. ამ მდინარის ორივე კიდელზე ჩამწკრივებულიყვნენ მრავალი მრეცხავი ქალები, თვითეული მათგანი თავის მოტანილ დიდ და დაბალ-კიდეებიან კალათაში იდგა მუხლ-მორთხმული საცვლებზე წყალთან და სარეცხს რეცხდა. ეს ქალები მხნედ და მხიარულად აკეთებდნენ თავის საქმეს. ხალხით აჭრელებულ უსაქმობის უდაბნოს რომ გაივლი, ამ მშრომელ და თან მხიარული ხალხის ბუდე სანეტარო ოაზისად გეჩვენებათ. მრეცხავ ქალთა უმეტესი ნაწილი ახალგაზდები იყვნენ და მათ მიხვა-მოხვრას, მათ მუშაობას ყმაწვილური შნო, ლაზათი და მხნეობა ემჩნეოდა. განყენებულის მშვენიერების მოტრფიალე თავის ნაზსა და ნაირნაირ ფშვიადთა ყნოსვას შეჩვეულ არისტოკრატიულ ცხვირის ნესტოებს დაიცობს, რასაკვირველია, და თვალს მოარიდებს ამ ჩვეულებრივ—პროზაიკულ სურათს. fi donc!—ფი!.. უბრალო ქალები... ჩვენ გამონაცვალ ჰუჰყიან საცვლების მრეცხველნი... რა აქვს ამ სურათს საერთო მშვენიერებასთან? ვგრძნობ, არისტოკრატნი დემოკრატიულ ტკბილ-გრძნობიერებას, სენტიმენტალიზმს დამწამებენ, რასაკვირველია. დეე დამწამონ, დეე დასტკბენ წარჩინებულ ბანოვან-მანდილოსანთა პაწია, ლამაზ და თეთრ ხელთა ამბორით. მხოლოდ ერთ საკითხზე პასუხი უნდა მომიგონ განყენებულმა ესტეტიკოსებმა: მაგალითად, იმათ, ლამაზ ნაწარმოებს რომ სჭვრეტენ, აღტაცება ეუფლებათ ხოლმე, სურათის ავტორს შეფრფინვით, ქება დიდებით იხსენიებენ, ლამაზ თაიგულებსა და საჩუქრებს მიართმევენ ხოლმე: ავტორისადმი მათ პატივისცემასა და აღტაცებას საზღვარი არა აქვს. რა მიზეზია მერე, რომ განყენებული მშვენიერების ტრფიალნი აგრეთვე არ ექცევიან თავის სათაყვანებელ მშვენიერ ნაწარმოებთა ავტორებს, იმ მხნე, გამრჯელ და პატიოსან მშრომელთ, რომელთა წყალობით მშვენივრად გამოწყობილი წარჩინებული მანდილოსანი გამოდის თავის ზიზილ-პიპილა ბუდუარიდან აღტაცებულ ესტეტიკოსის თვალთა წინაშე და პაწია, თეთრ და ნაზ ხელიკოს გაუწოდებს მოწიწებით ამბორ-საყოფელად. ეს მშვენიერი ქალის სურათი სცენაზეა, მისი ავტორები კი სცენის კულისებში იმალებიან, არ სჩანან ზედაპირულ ლამაზ ცხოვრებაში. გონიერი მკითხველი უკვე მიუხვდა ჩემ აზრს, იცის, რომ წარჩინებული მანდილოსანის თვალ-წარმტაცი მშვენიერების ავტორები—მისი მსახურნი არიან, მისი შინა-ყმანი და ქარხნის მუშები, რომელთაც შეჰქმნეს მისი ლამაზი სამკაული. დეე ისევ დაიცონ ესტეტიკოსებმა ცხვირი და იბრუნონ პირი, ეს ჭეშმარიტება მაინც ჭეშმარიტებად დარჩება. დიაღ, ამ მუშაკთ მსხვერპლად შესწირეს თავისი ხელები ქალბატონის ხელებს, ხელით იდვეს ყველა ტლანქი და ბილწი სამუშაო, ამათ მოაშორეს ქალბატონის ხელებს სიტლანქე და სიბილწე და შესძინეს მათ სპეტაკი სინაზე, დაიცვეს მათი მჭვირვალი, წარჩინებულ წინაპართაგან ნაანდერძევი განწმენდილი ცისფერი სისხლის შემცველი წვრილი ძარღვები და თეთრი, ნაზი კანი. ერთი სიტყვით, რაც მსახურთ დააკლდა, ის ბატონს შეემატა. ნაზი, უსაქმო ხელების ავტორები—ტლანქი მოსაქმე ხელები არიან, და ამ უკანასკნელთ პრაწიკანა ესტეტიკოსი უყურადღებოდ ეკიდება, ამბორს ჰყოფს ნაწარმოებს და უგულებელ ჰყოფს თვით ავტორებს: მსახურ მუშაკთა ხელები უმდაბლესი ჯიშის სულდგმულთა თათებად მიაჩნია და არა თუ ამბორს არ ჰყოფს და თაიგულს არ მიართმევს, არც კი გაუწოდებს ხელს, რომ არ მიაკაროს თავისი ნაზი, ფშვიადი კანი იმათ მაგარ და ჰუჰყიან კანს.

თვალი გადავავლოთ ახლა წარჩინებულ ბანოვანის ტანს, შევადაროთ იგი მოსამსახურ მუშაკთა ტანს და აქაც დავრწმუნდებით, რომ, მაგალითად, ამ ბანოვანის წელი იმიტომ „ნაზად რონინებს“ ლამაზ ესტეტიკოსის მიმართ, რომ პატიოსან მუშაკთა წელთ იდვეს ყველა ტლანქი და მძლავრი მოძრაობა და შესძინეს ქალბატონის წელს სინაზე და სისათუთე. დილა ადრიანად, როცა მსახურნი მთელ სახლს სწმენდენ და ჰგვენ, წელებზე ფეხს იდგამენ, გადააქვთ-გადმოაქვთ მძიმე ავეჯი, დარბიან კიბეებზე, ზიდვენ ზევით მძიმე ტვირთს, შეშასა და წყალს, მთელ სხეულს მძლავრად ამოძრავებენ, ამ დროს ბატონები ნაზად განისვენებენ რბილ ბუმბულის ან ლეიბთა წიაღსა შინა. ამ ლეიბთა და ბატონების სხეულთა შორის გამართულია მწყობრი კავშირი, ჰარმონიული თანხმობა: ჰაეროვან ლეიბ-ბუმბულთა რბილი სიმჩატე, მსუბუქი სინაზე მძლავრ გავლენიანობს ბატონების სხეულზე, ზედ აღბეჭდავს ხო თავის რბილ სიმჩატეს და მსუბუქ სინაზეს. ლეიბთა და ბატონების სხეულთა შორის უსიტყვო მუსაიფი, ტკბილი ურთიერთობა იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ფულის, სიმდიდრის წყალობით ამ დროს ისინი თავის შინაყმებს და ქარხნის მუ ამუშავებენ თავისთვის უხალისო, მძიმ

---

*) იხ. „ცნ. ფ. ურცელი“ № 2421.

„ნოვოე ვრემია"-ს ატყობინებენ ლონდონიდან: ლონდონში მრავალი მეტად იაფი წიგნი გამოდის იაპონიაზე. ამ წიგნებს სულ ასეთი ლამაზი სათაურები აქვს: „ბრძოლა იაპონიისა თავისუფლებისათვის" ანუ „რა ნაირად იქცნენ იაპონელები ჯანმრთელ, ძლიერ და ბედნიერ ერად".

ინგლისი და რუსეთი. „ბირჟევი ვედომოსტი" იუწყება: რუსეთის ელჩი გრაფ ბენკენდორფი ჯერ ლანსდოუნმა მიიღო სათათბიროდ და მერე, 20 თებერვალს, ინგლისის მეფემაც ხანგრძლივ აუდიენციაზე მიიღო. ამ ამბავმა მეტად დამამშვიდებელი გავლენა იქონია ყველაზე.

სუეცის არხი. ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ის ამბავი, ვითომ სუეცის არხში ორსავე მეომარ სახელმწიფოს გემებისათვის გავლა აეკრძალოსთ, ტყუილი გამოდგა. რუსეთისა და იაპონიის გემებს მხოლოდ სამხედრო კონტრაბანდით დაჭერილ გემების გატარება აუკრძალეს სუეცის არხში. ასე რომ იმ სავაჭრო გემებს, რომლებიც რუსებმა მეწამულ ზღვაში დაიჭირეს, სუეცის არხში აღარ გამოატარებენ, ეს გემები უსათუოდ სამხრეთ-აფრიკას უნდა შემოუტარონ გარსა („ბ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ **ფუნიკულერის გამყვანმა** საზოგადოებამ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობას გადასცა ბე 50,000 მან. საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, მიეცეს ამ ბედან 33,000 მან. თანახმად ხელშეკრულებისა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მისცეს საზოგადოებას 24,000 მან.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ნება დართო, გაეგზავნოთ **სოხუმის ოლქის მცხოვრებთ** 100 ფუთი გოგირდოვანი ნახშირ-მბადი სიმინდის სენის მოსასპობად. რწმუნებულმა ამასთან დაავალა აგრონომს ტიმოფეევსა და ინსტრუქტორებს ქუთაისის გუბერნიაში, ასწავლონ მცხოვრებთ, როგორ უნდა მოიხმარონ ნახშირ-მბადი.

◆ დაურიგდათ ხელისმომწერთ ამ წლის „მოამბის" პირველი ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა:

მიქელა.—მოთხრობა.—დავ. კლდიაშვილისა. ქალბატონი ფიფი—გიუ დე მოპასანისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. უსინათლო მუსიკე.—ვლად. კოროლენკოსი (ეტიუდი), თავი მეშვიდე.—თარგმანი ინ-ანისა. გლეხი კაცი,—თავი XI—XII. რომანი ვილჰელმ ფონ-პოლენცისა,—თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა. ცრემლი ისნულისა.—ემილია პარდო ბაზანისა.—თარგმანი ი. მაჭავარიანისა. ტეოდორ მომსენი.—დ. გ—ს. ინგლისის ახალშენი.—ახალი ზელანდია.—ვ. გ. მიჟუევისა, თარგმანი ნიკო ადნიაშვილისა. ბიბლიოგრაფია.—И. И. Калфоглу.—Родословная грузинской царицы Тамары.—მ. ჯანაშვილისა. ნარევი. შინაური მიმოხილვა.—ჩვენი ეკონომიური გაჭირვება.—ფ. გოგიჩაიშვილისა. უცხოეთის მიმოხილვა.—რუსეთ-იაპონიის ომი. „მოამბის" შინაარსი წარსულის ათის წლისა.

◆ როგორც ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობებიდანა სჩანს, 15 თებერვლიდან 25-მდე ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა 20 კაცი. ამავე ხნის განმავლობაში ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოში ყოფილა 30 ავადმყოფი.

◆ ნაძალადევში გორის მაზრის მცხოვრებს დიმიტრი მეტრეველს, ალექსანდრე გურგენიძის, ლევან კობახიძის, მინა გურგენიძის და დავით მათიაშვილისთვის ნდომებია ნივთების მოპარვა. ქურდი იქვე დაუჭერიათ.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

23 თებერვლის კრება არა ჩვეულებრივი იყო ქალაქის საბჭოსთვის: მთელმა ოცდა-ათმა კაცმა მოიყარა თავი და ისეთი საკითხები გადასწყვიტა, რომელნიც მთელის წლის განმავლობაში ინიშნებოდა საბჭოს მიერ გასარჩევ საქმეთა სიაში და ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობით ვერ სწყდებოდა. საბჭომ წაუკითხავად გადასცა კომისიას სატყეო რევიზორის ვერმიშევის მიერ წარმოდგენილი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორის წესით უნდა იჭრებოდეს შუა საღორიის აგარაკში და რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული, რომ ქალაქმა აგარაკიდან მეტი სარგებლობა ნახოს. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: მ. ე. დარახველიძე, ა. ს. საყვარელიძე, დ. ბ. მდივანი და ბ. პ. მოსეშვილი, რომელთაც ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, ვერმიშევისა და სხვა სპეციალისტთა თანადასწრებით უნდა საბოლოოდ გადასწყვიტონ ეს საქმე. საბჭოს მოხსენდა გამგეობის აზრი იმ შესახებ, რომ კუპავასა და სხვათ, რომელთაც რამდენისამე წლის წინად უყიდნიათ ქალაქისაგან საღორიის აგარაკში სამოსახლო ადგილები, ნოტარიუსის წესით დაუმტკიცდეთ შეძენილი მამული. ქალაქს წინად 16 კაპეიკის ანგარიშით მიუყიდნია იმათთვის თითო ოთხ-კუთხი საჟენი; ეხლა კი, რასაკვირველია, მიწის ფასმა ერთი-ათად იმატა და ზოგიერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ ქალაქს მამულის ეხლანდელ ღირებულების ნახევარი მოეთხოვა მყიდველთაგან. ამას წინაალუდგნენ თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე და მ. ე. დარახველიძე. ამათ მიემხრო საბჭოს უმეტესობა და დადგენილ იქმნა: მთხოვნელთ დაუმტკიცდეთ ადგილი იმ პირობით, როგორითაც პირველად ჰქონდათ ნაყიდი. გამგეობის მოხსენების თანახმად, ერთხმად დადგენილ იქმნა, ქალაქმა შეიძინოს იურჩენკოვის ქუჩის გასაგანიერებლად ლორთქიფანიძის ქვრივის ადგილი. განხილულ იქმნა სახელაშვილის აზირებული თხოვნა. ქალაქს მიუნდვია იმისთვის სასაფლაოსთვის ქვის ღობის შემოვლება; გასამრჯელოდ-კი მკვდრებისაგან უნდა აელო ბაჟი სამარხი ადგილის დათმობისათვის. მოიჯარადრეს თავის დროზე ღობე ვერ გაუკეთებია და ეხლა სთხოვს ქალაქის საბჭოს აპატიოს მას როგორც ღობის გასაკეთებელი ხარჯი, ისე ჯარიმა,—ძლიერ ცოტა ხალხი დაიხოცა და სარგებლობის ნაცვლად დიდი ზარალი ვნახეო. საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა ეს თხოვნა. ნახევრად შეწყნარებულ იქმნა თავ. ს. გ. წულუკიძის თხოვნა. იმისი სახლი ქალაქს დაქირავებული ჰქონია პოლიციის ნაწილისთვის, რომელსაც მიუნგრ-მოუმტვრევია ფანჯრები, კარები, იატაკი, ჭერი; ერთი ოთახი ფეხის-ადგილად გადაუქცევია და სხ. თავ. წულუკიძე თხოულობდა ზარალის ზღვევას. ზოგიერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, თუ ეს თხოვნა არ შევიწყნარეთ, პოლიციისათვის სახლს არავინ მოგვაქირავებსო. აღინიშნა აგრეთვე, რომ პოლიცია საზოგადოდ ძლიერ აფუჭებს სადგომებს და მუდამ საჩივარია სახლის პატრონებისგანო. დადგენილ იქმნა, მიეცეს თავ. წულუკიძეს 60 მანეთი. ამასთანავე დაევალა ქალაქის გამგეობას, პოლიციისთვის შენობის ქირაობის დროს დაწვრილებით აღწერილ იქმნას შენობის მდგომარეობა.

შეწყნარებულ იქმნა ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატების შესახებ: დიდ მარხვის განმავლობაში გირვანქა ხორცი უნდა იყიდებოდეს ეხლანდელზე ერთი კაპეიკით უფრო ძვირად, ე. ი. მორეკილ საქონლის პირველი ხარისხის ხორცი—11 კაპ., მეორე ხარისხისა—10 კაპ.; ადგილობრივ საქონლის 1 ხარისხის—9 კაპ., მეორესი—8 კაპეიკად და სხ. ამასთანავე ერთხელ კიდევ აღინიშნა ყასბების თავგასულობა—ყოველგვარ ხორცს 1 ხარისხისად ასაღებენო; ყველამ საჭიროდ დაინახა მათი ალაგმვა, მაგრამ ლაგმის ამოდება-კი ვერავინ იკისრა. საბჭომ უცვლელად მიიღო ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული კონდიცია ქუთაისში ტელეფონის გაკეთებისა. ხელოვნურ წყლის გასაყიდი კიოსკესი ქალაქის ბაღში ისევ ი. აბზიანიძემ აიღო იჯარით სამის წლის ვადით 450 მანეთად წლიურად.

გარდაცვალებულ ხმოსნის გ. ხ. კიზირიას ნაცვლად სახელმწიფო გადასახადის გამწერელ კომისიის წევრად არჩეულ იქმნა არა ხმოსანი ზ. გ. ვარდანაშვილი. უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა ქალაქის გამგეობის ქვეშ მყოფის პოლიხრანიდისეულ შენობის მდგმურების თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქს ეზღო მათთვის ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ შენობაში ცეცხლის გაჩენის დროს. დანარჩენი საქმეები, რიცხვით 13, რომელნიც შეიცავდნენ კერძო პირთა თხოვნებს შემწეობის აღმოჩენის შესახებ, საბჭომ თითქმის ყველა უყურადღებოდ დასტოვა.

დონ-ვალიანი

რუსეთის ქრონიკა

◆ მეშჩოვსკის საერობო კრებამ დაადგინა, მოვუსპოთ სასულიერო სამრევლო სკოლებს ფულის მიცემა და ის 1000 მანეთი, რომელსაც სასულიერო სკოლებს ვაძლევთ, ესე გავანაწილოთო: 500 მანეთი გადავდოთ საერობო სკოლების დასაარსებლად, ხოლო 500 მანეთი მეშჩოვსკის სახელოსნო სკოლას მივცეთო. ეს დადგენილება გუბერნატორმა არ მოიწონა და გასარჩევად გადასცა საგუბერნიო საკრებულოს, რომელმაც არ მიიღო და გააუქმა („პეტ. ვედ.").

◆ ახლად შემოღებულ კანონს, დაშავებულ მუშების უზრუნველ ყოფის შესახებ, მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ: დამზღვევ საზოგადოებებმა, ჯერ ერთი, დასაზღვევი ფული ერთი ორად გაადიდეს, მეორეც საზოგადოებანი აქამდე არ აძლევენ დასაზღვევ პოლისებსა და თავიანთ აგენტებს პროვინციებში საიდუმლოდ ატყობინებენ, მუშებს დასაზღვევად ნუ მიიღებთო („რუს. ვედ.").

◆ კავკავის რკინის გზას როსტოვის სახელოსნოები ვერ აუდიან და ამიტომ ამ გზამ გადასწყვიტა, კავკავში ააშენოს ვაგონების გასაკეთებელი დიდი სახელოსნოები, რომელიც 2 მილიონ მანეთამდე დაუჯდება. სახელოსნოების შენებას ამ ცოტა ხანში შეუდგებიან („რუს. სლ.").

◆ ქალთა საექიმო ინსტიტუტის შენახვა ხაზინამ იკისრა, რისთვისაც წელიწადში 150.000 მანეთის დახარჯვა დასჭირდება („რუს. ვედ.").

სასამართლო

I

თავ. ივ. წულუკიძის მოკვლა

(დასასრული*)

როგორც გამოძიების დროს, ისე სასამართლოშიაც ჭოლოკავამ აღიარა თავისი დანაშაულობა და ამტკიცებდა, რომ სხვა ბრალდებულთ არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით ამ საქმეშიო. სხვათა შორის, ჭოლოკავამ განმარტა, თუ რა მიზეზმა გაამწვავა ურთიერთობა მოკლულ თავადისა და მასშორის: თავ. წულუკიძეს ამ ჭოლოკავასათვის ოდესღაც ტყე მიუყიდნია, მაგრამ მერე შიგ აღარ შეუშვია; ამ ტყეში შემდეგ ცეცხლი გაჩენილა და თავადს ეჭვი აუღია—სწორედ ჭოლოკავამ წაუკიდა ცეცხლიო და გადამტერებია მას. „ამის შემდეგაო, დასძინა ბრალდებულმა, მე და ჩემს ოჯახს მოსვენება აღარ გვქონდაო, თუ ჯარიმით, თუ შეურაცხყოფით" და სხვა.

ქაშაბიძემ და გველეტიანმა, როგორც გამომძიებელთანაც, აქაც განაცხადეს—უდანაშაულონი ვართო; მაგრამ მოწმეებმა თავ. ილიკო წულუკიძემ (მოკლულის ძმამ), სტრაჟნიკებმა და სხვათ განაცხადეს, რომ თავ. ივ. წულუკიძესა და გლეხებ ქაშაბიძე—გველეტიანების შორის ძალიან გამწვავებული ურთიერთობა არსებობდაო და რომ იმ ადგილას, სადაც წულუკიძე მოჰკლეს, თომა ქაშაბიძისა და ლუკა გველეტიანის იარაღი იპოვნესო; ბრალდებულებმა უარი სთქვეს—ეს იარაღი ჩვენი არ არისო.

სასამართლოშიაც სრულიად დამტკიცდა ის გარემოება, რომ მოკლული თავადი ძლიერ ცუდათ ეპყრობოდა გლეხთ. სხვათა შორის, სოფლის მამასახლისმა და იმისმა ამხანაგმა დაამოწმეს, რომ განსვენებული გლეხებს ძალიან ეჯავრებოდათ, რადგან ერთ და იმავ ადგილს ორჯელ მიჰყიდიდა ხოლმე, იჭერდა მათ საქონელს და თითო თავზე 1 მ.—2 მანეთს ახდევინებდა, ზოგს ძალით ართმევდა ახალ მოსავალს, ბანკში აგირავებდა მათ მამულსაც-კი და სხვა. ბრალდებულ გლეხებზე მამასახლისმა სთქვა—პატიოსანი და მშრომელი ადამიანები იყვნენო.

ბრალდებულთ სასამართლოში იცავდნენ ვექილნი ი. ნიჟარაძე, თავ. მ. ფალავა და ან. გელაზაროვი, ამტყუნებდა პროკურორის ამხანაგი კაიტმაზოვი; საქალაქო მომჩივანად მოკლულის მემკვიდრეთა მხრით იყო ბ-ნი მაჭავარიანი. თომა ქაშაბიძის და ლუკა გველეტიანის დამცველნი ამტკიცებდნენ, რომ ამ ბრალდებულთა მონაწილეობა მკვლელობაში არაფრით არ მტკიცდება; მათ წინააღმდეგ მხოლოდ უბრალო ეჭვია, იმით გამოწვეული, რომ მოკლულ თავადსა და მათ შორის გამწვავებული ურთიერთობა იყოო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ე. ჭოლოკავა და თ. ქაშაბიძე თავ. ივ. წულუკიძის მოკვლაში და მიუსაჯა თითოეულს 12 წლით კატორგაში გაგზავნა, ხოლო ლ. გველეტიანი გაამართლა. გარდა ამისა გასამართლებულ ჭოლოკავასა და ქაშაბიძეს სასამართლომ დააკისრა სასამართლო ხარჯისა და სამოქალაქო საჩივრის (300 მანეთის) გადახდა.

II

შეურაცხყოფა

გუშინ, 27 თებერვალს, მომრიგებელ მოსამართლეს ტფილისში უნდა გაერჩია საქმე ყაზახის მაზრის მცხოვრების შატირა მელიანცისა, რომელსაც ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოსა და სომეხთა საეკლესიო მამულების ჩამომრთმევ კომისიის წევრის ვეიდენბაუმის მოქმედებით შეურაცხება ჰბრალდებოდა. ტფილისის გუბერნატორის თანადასწრებით, ბ-ნს ვეიდენბაუმს განუცხადებია პოლიცმეისტრისთვის,

---

*) იხ. „ცნობის ფურც." № 2422.

მუშაოს; დილა ადრიანათ აახტუნებენ, უჭმელოდ ჰგზავნიან ქარხანაში და დღეში 12—14 საათს ამუშავებენ: აშორებენ ოჯახს, შვილებს, უბედურ ჰყოფენ იმათ თვისთა საბედნიეროთ, სწყმედენ თვისდა სცხონებლად და ამ ყალბი წადილის ასრულებას, თვისი ცხოვრების მრუდე კანონის ძალით, თვითონაც არ არიან ხოლმე ბედნიერნი. უსაქმობა სწამლავს იმათ სულსა და გვამს; მადა, მშრომელი კაცის ჯილდო—მათთვის უცნობი ხილია, ამ მადის გასაღვიძებლად იმათ მოიგონეს მრავალი, ნაირ-ნაირი და ტკბილ-გემოიანი საჭმელები და ყველივე ამაოდ: ტკბილი საჭმელები ისე ვერ შექმნიან მადას, როგორც ლამაზი სიტყვები—აზრს. მადა, როგორც აზრი, მხოლოდ დინჯი და დაკვირვებული შრომის ნაყოფია: ორივე ბეჯითი მუშაკის და არა უქმი ადამიანის ჯილდოა.

ქვეყნის ყველა ლამაზ კუთხეებს რავლად აწყდება მდიდარი ხალხი და მაინც ვერ ჰპოვებს სულის სიმშვიდეს, ეძებს იმას, რაც შესაძლებელი არ არის: უშრომლად განსვენებას იმ ზარმაც ადამიანსავით, რომელიც ბოდიშს სთხოვდა ხოლმე თავის სტუმრებს, მომიტევეთ, უნდა წავიდე და დავისვენო, რომ შემდეგ ძალა-მოკრებილი ჩავწვე ლოგინშიო.

ყველა ამ ნათქვამებიდან ცხადად მიხვდება მკითხველი, თუ რად იყო ჩემთვის საამო მრეცხავ ქალთა მშრომელ და თან მხიარულ გუნდის სურათი. უსაქმო მანდილოსანთა ლამაზი და ნაზ-შნოიანი მიხვრა-მოხვრა, ტკბილად მიბნედილი თვალები, ეგრედ წოდებული გრაცია-ჰაეროვნება სწორედ ისეთი საზრდოა ადამიანის სულისათვის, როგორც შაქრის ყინული პის სხეულისათვის; ჰაეროვანი ბანოვანნი დილიდან საღამომდის ამ შაქრის ყინულით ჰკვებავენ თავის მოტრფიალეთ.

ჩემმა თანამგზავრმა ხელით მანიშნა მრეცხავი ქალებისაკენ და მითხრა: ხომ ხედავთ ამ ქალებს,—მათ წაბილწეს ჩვენი ქალაქის ულამაზესი ადგილი, ჭუჭყიან სარეცხს რეცხენ, ჰაერს სწამლავენ, სენის გამჩენ ბაცილებს ამრავლებენ და გარდა ამისა ჩვენ ლამაზ ქალაქის სურათს ამახინჯებენ თავიანთი უწმინდური მუშაობით. დახედეთ ერთი, რა ლამაზი ბაირაღები აუფრიალებიათ. ჩვენ გავშორდით ქვა-ფენილსა, გვირაბის შესავალი დავინახეთ და თვალ წინ გადაგვეშალა მდინარე პეილონი, რომლის ორივე კიდეს მოჰფენოდნენ მრავალი მრეცხავი ქალები, რომელნიც გულმოდგინეთ მუშაობდნენ. უკვე გარეცხილი მრავალი ზეწრები და საცვლები იქვე გაეფინათ სარებ შორის გაბმულ ბაწრებზე. ცოცხალი, მოძრავი და მხიარული სანახავი იყო. მე ჩემ დღეში არ მინახავს ამდენი მუშაკი ერთად თავმოყრილი გარედ, მზეში, საერთო სამუშაოზე. რამდენიმე ასი ქალი მხნედ და ხალისიანად აკეთებდა ამ საჭირო საყოველდღეო საქმეს.

ჩემ თანამგზავრს სევდა მოეფინა გულს და განაგრძო: იცით, ბევრი ეომა ჩვენი ქალაქის თვითმართველობა ამ ბრიყვ ქალებს, უნდოდა ქალაქ გარეთ განეძევებია ისინი თავიანთი უშნო ჰაერის მწამლავი სამუშაოთი და მაინც ვერაფერს გახდა. გამოუცხადეს თუ არა თავისი განაჩენი, ეს ქალები შეერთდნენ და ჯარად მიადგნენ ჩვენ თვითმართველობის საბჭოს, იძულებულ ჰყვეს ჩვენი მერი, ქალაქის თავი, გამოსულიყო მათთან სალაპარაკოდ, ისეთი ყვირილი ასტეხეს, რომ დიდი შენობის ფანჯრებს ზანზარი გაჰქონდა, ისეთი ბრიყვული და მძლავრი პროტესტი განაცხადეს, რომ ჩვენი თვითმართველობა იძულებული გახდა, უსიამოვნების თავიდან ასაცდენად, ისევ ნება დაერთო მათთვის წინანდელ ადგილზე ემუშავნათ.

ახი იყო მათზე-მეთქი,—ვუპასუხე მე ჩემ თანამგზავრს,—რას ერჩოდენ ამ ქალებს, მათი განარეცხი ტალახიანი წყალი ხომ აქვე ახლო ზღვას ერთვის, ზღვის წყალს კი არავინ არ სვამს. მერე, განა შეიძლება ღარიბი მშრომელი ხალხის განდევნა შორს: ალბად, იმიტომ მუშაობენ აქ, რომ ბინა ახლოს აქვთ, ბევრი მათგანი წვრილი შვილების პატრონი იქნება, რომელთაც მარტო სტოვებს სახლში. ახლოს თუ იქმნა მათზე, მეტი შეძლება ექნება, დრო გამოშვებით მიხედოს ხოლმე. გარდა ამისა, ღარიბ მუშა კაცისათვის დროს დაკარგვა, შორს სიარული, სარჩოს, ლუკმა პურის დაკარგვას ნიშნავს..

ჩემი თანამგზავრი უგემურად დაიღრიჯა, არაფრად ეჭაშნიკა ჩემი დემოკრატობა და ხმა არ გამცა საპასუხოდ.

საკვირველიც არ არის, რომ მრეცხავ ქალთა რაზმმა გაიმარჯვა ქალაქ ნიცის გამგეობაზე; ეს ნამდვილი მშრომელი ღარიბი ქალები, შრომის თავისუფლებას, ადამიანის დამოუკიდებლობას იცავდნენ, მაგრად იდგნენ ამ მაგარ ნიადაგზე, ამიტომ იმათ პროტესტს მძლავრი, გონიერი კილო ჰქონდა; ქალაქის გამგენი კი—განყენებულ მშვენიერების, ქალაქის სილამაზის დაცვის ნიადაგზე იდგნენ და განყენებული მშვენიერება ხომ ისეთი უნდო ნიადაგია, რომ ზედ დამყარებულ ლამაზ სულდგმულს თავის დღეში ძალას ვერ შესძენს კოჭებში. ეს უკანასკნელი ვერ გაუძლებს სამართლიან, კეთილშობილურ პროტესტს, უნდა იჯმნას მისგან ფიცხლადა და კვალ-წმინდად. ამიტომ ქალაქ ნიცის მმართველნი ფიცხლად იჯმნენ მრეცხავ ქალთა პროტესტის წინაშე და ახლა შორიდან, უძლურად უღრეჭენ მათ კბილებს.

აქ კიდევ ცხადად იჩინა თავი ესტეტიკის უსუსურობამ, განყენებულ მშვენიერების ტფიართა უღონობამ ცხოვრებაში წესიერებისა და სიმართლის დასამყარებლად.

ი. ნაკაშიძე

რომ 1903 წელს, 2 დეკემბერს, საღამოს 4 საათზედ, სასეირნოდ გავედი ლაბორატორნი ქუჩაზედ. როცა ჩავუხვიე სოლოლაკის ქუჩისაკენ, უკანიდან მომეწია ვილაც უცნობი, რომელმაც დამარტყა მარჯვენა მხარში რაღაც კეტის მსგავსი, შემდეგ გაიქცა პასკევიჩის ქუჩისაკენ და სადღაც მიიმალაო. ბ-ნ ვეიდენბაუმს ვერ მოუსწრია გაქცეულის დათვალიერება. ამ საქმის გამოძიების დროს მოწმეს მიხეილ შახნაზაროვს უთქვამს, 2 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ, სახლში დაბრუნების დროს, სოლოლაკის ქუჩაზე, ხმაურობა შემომესმა. როცა მოვიხედე, შევნიშნე ვეიდენბაუმი და ვილაც კაცი, რომელიც ვეიდენბაუმს განშორდა და გაიქცა პასკევიჩის ქუჩისაკენაო. ვერც ამას დაუთვალიერებია უცნობი. მეოთხე დღეს პოლიციის მე-3 ნაწილის ბოქაულთან მისულა ტფილისის მოქალაქე ილია სარუხანოვი და ტფილისის საგუბერნიო გამგეობის მოსამსახურე ივანე მოცაკი და განუცხადებიათ, რომ მელიანცია ის, რომელმაც ჯოხი დაარტყა ვეიდენბაუმს. ჩვენ ვიცანით იგი ულვაშებზე, ნიკაპზე და ქუდზეო. ამას გარდა მოცაკს განუცხადებია, თუმცა მე თვალით არ დამინახავს, მელიანცმა ჯოხი როგორ დაარტყა ვეიდენბაუმს, მაგრამ როცა გავიგონე ყვირილი, „დაიჭით, დაიჭირეთო", გამოვედი და ვნახე ვილაც უცნობი კაცი მირბოდა, მოვეწიე და პალტოს კალთაში წავავლე ხელიო. უცნობმა მომიქნია ჯოხი დასარტყმელად, მე პალტოს ხელი გავუშვი და ჯოხს ვსტაცე ხელი. უცნობმა ჯოხი ხელში შემატოვა, გაიქცა პასკევიჩის ქუჩისაკენ და მიიმალაო. მელიანცი დააპატიმრეს. ბრალდებული არ გამოტყდა. განაცხადა, მე ქალაქის დუქნებისათვის საკომისიოდ საკლავი საქონელი მომყავსო. ვეიდენბაუმს არ ვიცნობ და პირველად ვნახე იგი ჟანდარმთა გამგეობაში, სადაც დაპატიმრების დროს მაჩვენესო. ორს დეკემბერს, როგორც მელიანცს განუცხადებია გამომძიებლისთვის, იგი ყოფილა ქალაქის საყასბოში ნაშუადღევს 4 საათამდე. შემდეგ ეტლით გაემგზავრა შუა ბაზარში და იქ ვანო ვარზესოვის დუქანში გაატარა დრო საღამოს 8 საათამდე. რადგან ბ-ნმა ვეიდენბაუმმა განაცხადა, მე არა მსურს, ამ საქმის გამო სარჩელი განვაგრძოო, მომრიგებელმა მოსამართლემ საქმის წარმოება სრულიად მოსპო.

წერილი შუა აზიიდან

ქართველობა.—აქაური ცხოვრება და მცხოვრებნი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსმა შუა აზიაში ფეხი შემოდგა. შუა აზიის დედა ქალაქად ტაშკენტი ითვლება, მთავრობასაც უმთავრეს პუნკტად ეს გაუხდია და აქედან ქსელავს რკინის გზებს ყველა მხრისკენ. რკინის გზების გაყვანამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალი მუშა ხელი გამოიწვია და მართლაც რა ჯურის და რჯულის ხალხი გინდათ, რომ აქ არ შეხვდეთ. სხვათა შორის, ქართველებსაც ბლომად მოუყრიათ თავი. თითქმის რუსეთის ვერც ერთ მხარეში ვერ შეხვდებით იმდენს ქართველს, რამდენსაც აქ. ზოგი დღიურად მუშაობს, ზოგი იჯარებს იღებს, ზოგსაც რკინის გზის ბუფეტები და სხვა სავაჭროები აქვს გახსნილი და ამრიგად ყველა საერთო შრომაშია ჩაბმული. არიან ისეთებიც, რომლებსაც პატიოსან შრომად სხვისი საკუთრების სიყვარული გაუხდიათ, რისთვისაც სამს უმაწვილს ცამეტ-ცამეტი წელიწადი გადაუწყვიტეს სამარყანდში ვიღაცას თავზე დაცემისთვის. ჟურნალ-გაზეთობას ორიოდე თუ იწერს. ქართველურად „დედი-დედას" და „მრავალ-ჟამიერის" შემოძახება ხშირია. ხშირად შეჰხვდებით საზოგადო სტოლზე ოც ან მეტ ქართველს, დროების გასატარებლად შეკრებილს, მაგრამ ჩვენში თუ ასეთი დროების ტარებანი ხშირად ხანჯლობით თავდება, აქ მხოლოდ ერთი მეორის მოკითხვით და სამშობლოსადმი კეთილის სურვილით. „საქართველოს გაუმარჯოს" ძახილი ჩვენებურ სამიკიტნოებზე ნაკლებ არ არის არც აქ. ტაშკენტს ევროპიული ელფერი ჯერ-ჯერობით ნაკლებად ეტყობა, მიუხედავად ამისა მოძრაობა მაინც დიდია. ყოველის მხრიდან ხალხი აწყდება, უფრო მას შემდეგ, რაც რკინის გზები გაიყვანეს. არის სხვა-და-სხვა ფაბრიკა-ქარხნები და იმათი რიცხვი დღითი დღე მატულობს.

ტაშკენტში ცხოვრობენ სართები, ყირგიზები, ფარსები და სხვანი. ესენი ძალიან დახელოვნებულნი არიან ვაჭრობაში; ვინც კი ქალაქში მოწყობილია, ისინი მარტოოდენ ვაჭრობენ. აღსანიშნავია მათი სიზანტე ვაჭრობაში: რაც უნდა გეჩქარებოდეთ, ფეხსაც არ გაანძრევს თქვენი სიჩქარისათვის.

ვინც ქალაქში არ მოჰხოლია, ის დღეს რომ აქ არის, ხვალ რამდენსამე ათს ან ასს ვერსს გაივლის თავის „ბარაკით" და იქ დაებინავება. ადგილის ბაჟს არ იხდიან. ის ადგილები, რომლებიც ხაზინას ჩაუგდია ხელში, იმათ საზოგადო კუთვნილებად მიაჩნიათ. მათი ავლადიდება სულ რამდენიმე ცხვარია; ვისაც ბლომად ჰყავს აქლემები და ცხვრები, ის პირველი მდიდარია. შესანიშნავია მეჩეთი თურქისტანში (დაბაა). ეს მეჩეთი აუშენებია თემურ ლენგს მე-XIV საუკ. მთელი ლაბირინტია, იქ არის სამლოცველო, სასწავლებელი, სასოფლო სამმართველო და ომიანობის დროს დასაბინავებელი. საუცხოოა როგორც ხელობით, ისე მოწყობილობით.

სოსიპ მთაშაველი

წერილი ახალციხიდან

ახალი სამრევლო სკოლა.—ბიბლიოთეკა.

კიდევ ერთი სამრევლო სკოლა გვემატება ახალციხელებს დეკანოზის ხახუტაშვილის მეცადინეობით. ამავე დეკანოზის მეოხებით ამ 12-ოდე წელიწადში ჩვენს მხარეში ოცზე მეტი სამრევლო სკოლა არსებობს. როგორც ვიცით, 1902 წელს ჩვენს მხარეს კიდევ ოთხი სკოლა მიემატა: ზედათმოგვისა, ერკოტისა, მიქელ წმიდისა და ერთიც ახალციხისა. ჩვენს ქალაქში დღემდის ერთი სამრევლო სკოლა არსებობდა, რომელიც 1901 წლიდან ორ-კლასიანად გადაკეთდა. ააშენეს მშვენიერი ქვითკირის შენობა და დახურეს კიდეც თუნუქით, შინაგანი მოწყობილება-და აკლია. ამასაც მალე დაამთავრებენ და მომავალ სექტემბრიდან გაგვეხსნება ახალი სკოლა. აქვე სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ადგილობრივი ქართველი კათოლიკენი სარწმუნოების მიუხედავად შვილებს ქართულ სამრევლო სკოლაში აძლევენ, რადგან თავიანთ სკოლაში, სხვათა შორის, მათთვის გაუგებარ სომხურ ენაზე ლოცვა-გალობის სწავლებას პირველი ადგილი უჭირავს. ეს ათიოდე წელიწადია, რაც აქ დაარსდა „წ. კ. საზოგ." სახალხო სამკითხველო. ჯერ საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგში კი კოჭლობა დაიწყო უცნაურის მეთვალყურის წყალობით. ხშირად მეთვალყურე ბიბლიოთეკაში არ იმყოფება და წიგნის გამოცვლა რომ მოისურვოთ, საათობით ცდა მოგიხდებათ. საჭიროა მეთვალყურემ მეტი ყურადღება მიაქციოს.

ბ—ლი.

◆

დაბა-სოფლები

ხიმში (რაჭა). საქები იყო ჩვენი რაჭა პატიოსნებისა და სიმშვიდის მხრით. ამ ათის წლის წინად ვერსად გაიგონებდით, ამ კაცმა იმას მოჰპარა საქონელი ან რამე ნივთიო. ამ ათის წლის განმავლობაში დრონი იცვალნენ. ეხლა ქურდობაც ხშირია და სხვა ბოროტებაც. ამას წინად ღამე სოფელ ხიმშს გასტეხეს ქურდებმა გლეხის არჩუაძის დუქანი. მედუქნეს სამი თუმანი ჰქონოდა დახლის უჯრაში, რომელიც გამოეგლიჯა ქურდს და უჯრიანად წაეღო. წაეღო აგრეთვე, რაც ეპოვნა—შაქარი, ჩაი და სხვა. კვალი ღამის რაინდისა ახალ წამოთოვილზე კარგად დასჩენოდა, მედუქნე ქურდს მიაგნებდა, მაგრამ შერცხვა თვითონ, როგორ იკადრა ქურდმა 30 მანეთის მოპარვაო და პოლიციას ღამის რაინდის ყოფა-ქცევა აღარ გაუცხადა. გახშირდა ჩვენში აგრეთვე მტრობით სხვის სახლის ცეცხლის წაკიდება. ამას წინად სოფ. ხიმშს იასონ იაშვილის დუქანს ორჯელ გაუჩინეს ცეცხლი. მეორედ უსათუოდ გადაიწვოდა მთელი შენობა, რომ იქავე არ დასწრებოდა ორი ახალგაზდა კაცი რ. ჭ—ძე და ვ. ჯ—ძე. როდესაც ცეცხლი მოედვა დუქნის ერთ კუთხეს, იმათ გაიტანეს ღვინით სავსე ტიკი, ჰკრეს ხანჯალი და გადაასხეს ცეცხლით მოდებულ სახლის კუთხეს. ალმა ძირს დაიწია, მერე, როგორც იქნა, დაიმორჩილეს და ჩააქრეს ცეცხლი. მეორე დღეს ამბროლაურის ბოქაულმა სოფელს დაავალა, ამოერჩია ოთხი ისეთი კაცი, რომელთაც შეეძლოთ დაასახელებინათ სოფელში ცუდი საქმის ჩამდენი კაცები. სოფელმა ერთ ხმად ამოირჩია ოთხი ასეთი კაცი.

ვანო ჭიჭინაძე

ს. ჯუმათი (გურია). ეს 36 წელიწადია, აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. 1902 წლიდან ეს საისტორიო სკოლა გაორკლასიანდა. შეუდგნენ შესაფერ შენობის აგებას, რისთვისაც აირჩიეს „დეპუტატები". მაგრამ—„სკოლის შენობას ფული ესე არ ეყოო", სთქვეს „დეპუტატებმა" და გააწერეს სოფელს ხელ-მეორედ. აირჩიეს სარევიზიო კომისია და „დეპუტატებს" გაეხირათ 150 მანეთი და 95 კაპეიკი. ასე და ამნაირად 28 ქრისტეშობისთვიდან იხდის სოფელი სკოლის შენობის ფულს, მასწავლებლის ჯამაგირს და შენობა სკოლისა დღესაც არაა მზად. არ იფიქროთ „ოტნოშენიები" არ გაგზავნილიყოს ამ საქმეების შესახებ. მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა.

ს. შალიკაშვილი.

დაგვეხმარეთ!

მთავრობის ნება-რთვით დავაარსეთ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო ს. ბარისახოში (ხევსურეთში), საიდანაც შესაძლოა ორისავე ხეობის მცხოვრებთ მიეწოდოს წიგნები. კიდეც მივიღეთ ამ საქმისთვის შემოწირულებანი „წერა-კითხვის საზოგადოებისა", ბ-ნთ ბურჭულაძისა, კეთილაძისა, კალანდაძისა, ანდრონიკაშვილისა, „მოამბის" ნომრები ყალამქრის ყდებში მშვენივრად დაკაზმული და სხვა. ეპისკოპოსმა კირიონმა გამოგვიწერა ჟურნალი „ჯეჯილი" 1904 წ. თვით ადგილობრივი სამღვდელოება და მასწავლებელნიც არ იშურებენ თავიანთ წვლილს, რომლითაც ვიწერთ დრო-გამოშვებითს გამოცემებს. მაგრამ ეს არა კმარა, მოთხოვნილება მეტია და ორგვარი. რაც ერთისთვის გამოსადეგია, ის მეორისათვის ჯერეთ ნაადრევია. ზოგი რომ თხოულობს უფრო დარბაისლურს, ღრმა საკითხს წიგნებს, ზოგს ესაჭიროება მდაბიო და მარტივის ენით ნაწერები.. ამასთანავე ორჯელ წაღებული ნივთი მესამედ თითქმის აღარ ვარგა წასაღებად, თუ ნამეტნავად უყდოა. ხომ მოგეხსენებათ, გუდაში უნდა ჩასდონ, ან გაპოხილს ტყავის კალთაში გამოიხვიონ. აი, ამისთვის კიდევ მივმართავ ჩვენის საზოგადოების წევრთ და ვთხოვ, ნუ დაიშურებენ შრომას, შეაგროვონ თითოობით ძველი და ახალი წიგნები, ნამეტნავად ჩვენი მგოსნებისა, ყდიანი და უყდო, ორიგინალური და ნათარგმნი, აქ ყველა გამოსადეგია, და მოგვაწოდონ. იტყვით, ნუ სწუწუნებთო; რა გქნათ, რომ გვესაჭიროება? სხვა რა იღონი გვაქვს? ათი-ათასი სული მაინც ვართ ამ ორს ხეობაში და ერთად ერთი წიგნთ-საცავი გავიჩინეთ და რათაც და როგორც შეიძლება, როგორ არ შევავსოთ? დღე ერთია და მთხოვნელი ასი,—„ქაღალდი გექნება რამე საკითხიო", „ომისა რა იცი, წაგვიკითხე", „მოგვეცი რამეო!" რას იზამ ამ შემთხვევაში: უარს ეტყვი, სინიდისი გქენჯნის, მისცემ და მეორე აღარა გაქვს, რომ სხვა მთხოვნელიც დააკმაყოფილო.

ფშავ-ხევსურეთის ბლაღ. **ი. ხატიაშვილი**

ადრესი: Черезъ Тiонеты, сел. Барисахо. Благ. Свящ. Хатiашвили.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 თებერვალი

პეშავერი. მაიორი მუხამედ-ჰუსეინ-ხანი, რომელიც ემირმა თავის ძმასთან, ომარ-ხანთან, დანიშნა, ემირის ბრძანებით მოჰკლეს, რადგან მაიორმა ომარ-ხანს ქაბულიდან გაქცევა უშველა.

27 თებერვალი

პეტერბურგი. 26 თებერვალს იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ს სულის მოსახსენებლად პეტრე-პავლეს სობოროში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფლები და მათი უმაღლესობანი.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). ხილმი-ფაშამ პორტას წარუდგინა სამოქალაქო აგენტების და მის მიერ შემუშავებული პროექტი შესახებ გარდახვეწილთა დაბრუნებისა.

ალექსანდროვსკი (მურმანზე). დასავლეთ მურმანის კოლონიების სასანიტარო-საექიმო დათვალიერება გათავდა. სურავანდით ავად არის 7, სხვა ავადმყოფობით 114. წარსულ წელს ცუდ მოსავლის გამო ყველა ჩივის, სურსათი არა გვაქვსო. მურმანში ყინვებია, მდინარე კოლსკის გუბა გაიყინა.

არზამასი. სენატორი ნიკოლოზ ანდრეევიჩი ზვეროვი ქალაქ არზამასის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 24 თებერვალი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$6\text{-}7\frac{1}{2}\%$	
4% სახელმწიფო რენტა	93	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
$4\frac{1}{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$90\frac{1}{2}$	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	$350\frac{1}{2}$	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	308	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	246	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
$4\frac{1}{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4\frac{1}{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	171	„

◆

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. [illegible] წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან იყიდება 2 და 3 წლის საზაფხულო ხე-ხილის ხეები საუკეთესო ჯიშისა: ვაშლები, მსხლები და სხვა

ჰაჯი-ისმაილ-ოღლის

მამულის ბაღებიდან. (3—74—3)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, $\frac{1}{2}$-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფად და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—7)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

მოიკითხეთ

ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების

ხილეულობის უდიდესი

სანერგე.

სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ტფილისში მ. გ. ფრიდონოვს, სერგიევის ქუჩა № 11 და ქუთაისში პირველი სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდასთან". კატალოგები იგზავნება უფასოდ. (1[illegible]—71—3)

Дозв. ценз. Тифлисъ 27 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. Электропеч. Груз. Издат. Т—ва.